ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №90

2015 წლის 3 აპრილი

ქ. ქუთაისი

„ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_1, M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_1, M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100 დადგენილებაში /www.matsne.gov.ge 30.03.2011. 210020010.35.123.016052/, კერძოდ:

1. შეიცვალოს დადგენილების №1 და №2 დანართები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით

/№1 და №2 დანართები დადგენილებას

თან ერთვის/

2. დადგენილებას დაემატოს №3 დანართი თანდართული რედაქციით.

/დანართი №3 დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დვალი**

დანართი №1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_1, M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემის ფასის გადახდისა და ნებართვების

რეგულირების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და საკანონმდებლო ბაზა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_1, M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ჩატარების წესი (შემდგომში – „წესი“) განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_1, M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანაზე ნებართვის მაძიებელთათვის კონკურსის ჩატარების, მასში მონაწილეობის, გამარჯვებულის გამოვლენის, გადაყვანებზე ნებართვის გაცემის პირობებს, ნებართვის მოქმედების ვადას, ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესს.

2. წესი შემუშავებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ასევე საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **„ავტოსატრანსპორტო საშუალება“** – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებული კომბინაცია, რომელიც გამოიყენება გზაზე ტვირთის გადასაზიდად და მგზავრთა გადასაყვანად;

ბ) **„მსუბუქი ავტომობილი“** – მგზავრის გადასაყვანად და/ან ბარგის გადასატანად განკუთვნილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის დასაჯდომი ადგილის რაოდენობა მძღოლის ადგილის გარდა არ აღემატება 8–ს (M_1 კატეგორია);

გ) **„ავტობუსი“** – მგზავრთა გადასაყვანად და მათი ბარგის გადასატანად განკუთვნილი M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება რვაზე მეტი დასაჯდომი ადგილით (მძღოლის ადგილის გარდა), რომელიც გადაადგილდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი საავტობუსო მარშრუტის შესაბამისად;

გ.ა) **„M_2 კატეგორია“** – გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის შიდასატრანსპორტო კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ“ შემაჯამებელი რეზოლუციის შესაბამისად დადგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა (ავტობუსის) კატეგორია, რომლის სრული (ნებადართული მაქსიმალური) მასა 5 ტონამდეა;

გ.ბ) „M_3 კატეგორია“ – გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის შიდასატრანსპორტო კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ“ შემაჯამებელი რეზოლუციის შესაბამისად დადგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა (ავტობუსის) კატეგორია, რომლის სრული (ნებადართული მაქსიმალური) მასა 5 ტონა და მეტია;

დ) **„მძღოლი“** – ფიზიკური პირი, რომელიც მართავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას საავტომობილო გზაზე დადგენილი წესით;

ე) **„მგზავრი“** - ფიზიკური პირი, რომელიც მგზავრობს ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულების საფუძველზე;

ვ) **„ავტოსატრანსპორტო გადაყვანა/გადაზიდვა“** - საავტომობილო გზაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანა/ტვირთის გადაზიდვა;

ზ) **„რეგულარული გადაყვანა“** - მგზავრთა მრავალჯერადი გადაყვანა, რომელიც სრულდება იმ განსაზღვრულ მარშრუტზე, მოძრაობის დადგენილი განრიგის შესაბამისად, რომლით სარგებლობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს;

თ) **„მარშრუტი“** - პუნქტებს შორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლისათვის წინასწარ დადგენილი გზასავალი;

ი) **„მოძრაობის განრიგი“**- მარშრუტზე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დაწყება-დამთავრების დროის, მიმოსვლის ინტერვალისა და შუალედურ პუნქტებში გაჩერებების განმსაზღვრელი

ცხრილი;

კ) **„ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“** – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_1, M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრების გადაყვანა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი მარშრუტების შესაბამისად;

ლ) **„ლოტი“** – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა M_1, M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ცალკეული ან რამდენიმე მარშრუტის შესაბამისად;

მ) **„გადამზიდველი“** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ფლობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვას;

ნ) **„ნებართვა“** – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გადამზიდველისათვის განსაზღვრული ვადით, M_1, M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განსახორციელებლად მინიჭებული უფლება, დადგენილი სანებართვო პირობების დაცვით;

ო) **„ნებართვის გამცემი“** – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი;

პ) **„ნებართვის მაძიებელი“** – ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ასევე ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც განცხადებით მიმართავს ნებართვის გამცემს ნებართვის მისაღებად;

ჟ) **„კონკურსში გამარჯვებული“** – კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებელი, რომელიც საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადდა გამარჯვებულად;

რ) **„ნებართვის მფლობელი“** – პირი, რომელსაც დადგენილი წესით მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული ქმედება;

ს) **„ნებართვის გაცემის საწყისი ფასი“** – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, M_1, M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრთა რეგულარული გადაყვანისათვის დადგენილი ნებართვის გაცემის ფასის მინიმალური ოდენობა, თვეზე გაანგარიშებით;

ტ) **„ნებართვის წარმოდგენილი ფასი“** – კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებლის მიერ შემოთავაზებული ნებართვის გაცემის საწყისი ფასის ტოლი ან მეტი ფასი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით დალუქულ კონვერტში;

უ) **„ნებართვის გაცემის ფასი“** – ნებართვის გაცემის საბოლოო ფასი, რომელიც აისახება ნებართვის გაცემის ხელშეკრულებაში;

ფ) **„სანებართვო მოწმობა“** – სანებართვო უფლების დამადასტურებელი საბუთი;

ქ) **„სანებართვო პირობები“** – საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით და წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების ამომწურავი ნუსხა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას;

ღ) **„პირი“** – საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი;

ყ) **„საბანკო გარანტია“** – ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრული, საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია კონკურსში მონაწილეობის, საკონკურსო და სანებართვო პირობების შეუსრულებლობისას მოსალოდნელი რისკის თავიდან ასაცილებლად, კონკურსის მონაწილის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობადი გარანტიების მექანიზმის სახეობა. უცხოური ბანკიდან გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში გარანტია უნდა დამოწმდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ;

შ) **„საბანკო დაწესებულება“** – საქართველოში მოქმედი ნებისმიერი კომერციული ბანკი;

ჩ) **„უწყებრივი სანებართვო რეესტრი“** – მონაცემთა სისტემური ერთობლიობა ნებართვის გაცემის, მასში ცვლილების შეტანისა და მისი გაუქმების თაობაზე;

ც) **„ტექნიკური სანებართვო რეესტრი“** – მარშრუტებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მძღოლთა მონაცემთა სისტემური ერთობლიობა;

ძ) **„ფორსმაჟორი“** – მოვლენა, რომელიც ცდება მხარეთა გონივრულ კონტროლს, შეუძლებელია მისი თავიდან აცილება და რომელიც აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მხარის მიერ ვალდებულების შესრულებას და არ არის გამოწვეული მხარის დაუდევარი მოქმედებით;

წ) **„ხელშეკრულება“** – დოკუმენტი, რომელიც ფორმდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერსა და კონკურსში გამარჯვებულს შორის და რომლითაც ზუსტდება მხარეთა უფლება – მოვალეობები;

ჭ) **„ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რაოდენობა“** – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილ მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და ამ რაოდენობის 30 (ოცდაათი) პროცენტის ჯამი, მეტობით დამრგვალებული;

ხ) **„მგზავრთნაკადი“** – დროის განსაზღვრულ პერიოდში, ერთი მიმართულებით გადაყვანილი ან გადასაყვანი მგზავრების რაოდენობა;

ჯ) **„GPS/GSM სისტემა“** – ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების დისტანციური მონიტორინგის სისტემა, რომელიც გამოიყენება სადისპეტჩერო მართვის ერთიანი ავტომატიზირებული სისტემის ფუნქციონირებისათვის;

ჰ) **„კომისია“** – ნებართვის გამცემის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და მერიის თანამშრომლებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების, ასევე მოწვეული სპეციალისტებისგან შექმნილი დროებითი კოლეგიური ორგანო, რომელსაც კონკურსის ორგანიზაციულ – ტექნიკურ და სამართლებრივ უზრუნველყოფის მიზნით ჰყავს საკუთარი აპარატი.

მუხლი 3. კონკურსის ორგანიზება

1. კონკურსის მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცეს იმ ნებართვის მაძიებელზე, რომელიც ლოტის მიხედვით, საკონკურსო შედეგების შეჯამებისას მიიღებს ყველაზე მაღალ ქულას და შეასრულებს საკონკურსო პირობებს. ნებართვის მაძიებლის შეფასების კრიტერიუმები და მისთვის ქულების მინიჭების წესი მოცემულია წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სახელით უფლებამოსილია ნებართვის მოქმედების ვადა გაუგრძელოს ნებართვის მფლობელებს, რათა ერთის მხრივ, ახალი კონკურსის ჩატარებამდე უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო შემონატანები, ხოლო მეორეს მხრივ, ნებართვის მფლობელებს მიეცეთ გონივრული ვადა, რათა შეძლონ კონკურსისათვის სათანადოდ მომზადება.

4. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ მასმედიის (მათ შორის ინტერნეტის) საშუალებებით ცხადდება კონკურსამდე მინიმუმ 20 (ოცი) კალენდარული დღით ადრე.

5. კონკურსის ჩატარების შესახებ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს:

ა) ნებართვის სახეობა;

ბ) ნებართვის გამცემი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება;

გ) კონკურსის ჩატარების თარიღი, დრო, ადგილი;

დ) კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის ვადა;

ე) ინფორმაცია ლოტის თაობაზე;

ვ) ლოტზე მგზავრთა გადაყვანის განხორციელებისათვის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რაოდენობა;

ზ) ნებართვის მოქმედების ვადა;

თ) ნებართვის გაცემის საწყისი ფასი;

ი) საბანკო გარანტიის ოდენობა;

კ) განცხადების მიმღები კომისიის აპარატის კოორდინატები;

ლ) აფიდავიტის ფორმის ნიმუში;

მ) ოფიციალური ვებგვერდის მისამართი (მისამართები), რომელსაც კომისია გამოიყენებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ევროსტანდარტთან შესაბამისობის შესაფასებლად.

მუხლი 4. კონკურსის ჩატარება

1. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული გადაყვანა ხორციელდება მხოლოდ ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირთა ან/და ინდივიდუალური მეწარმეების მიერ. ნებართვა გაიცემა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ლოტებზე ცალ-ცალკე.

2. ნებართვის მაძიებელმა წერილობითი განცხადება უნდა წარადგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, რომელიც დაუყოვნებლივ წარედგინება საკონკურსო კომისიას. განცხადება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლით და ამ წესის მე–6 მუხლის მე–5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსზე მოთხოვნილი დოკუმენტაცია (განცხადების გარდა) წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით იმგვარად, რომ დოკუმენტების ნახვა ლუქის დაზიანების გარეშე შეუძლებელი იყოს. ნებართვის მაძიებელმა განაცხადი თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინოს ცალ-ცალკე. კომისია არ მიიღებს დაულუქავი კონვერტით წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მას მაშინვე უკან დაუბრუნებს წარმომდგენს.

3. ნებართვის მაძიებელი განცხადებას წარადგენს მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე. კომისიის აპარატში დოკუმენტაციის მიღება ხდება კონკურსის დაწყებამდე 3 (სამი) საათის განმავლობაში. დალუქული კონვერტები ნებართვის მაძიებლის თანდასწრებით თავსდება სპეციალურ გამჭვირვალე ყუთში. დოკუმენტაციის შემოტანის შემდეგ ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია დაესწროს დარბაზში კონკურსის მიმდინარეობის პროცესს. დროის ამოწურვისთანავე კომისია ნებართვის მაძიებლებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირის თანდასწრებით იწყებს კონვერტების გახსნის პროცედურას, მოთხოვნილი დოკუმენტაციის სისწორის შემოწმებასა და დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ახორციელებს ნებართვის მაძიებლის ქულობრივ შეფასებას.

4. პროცედურაზე კომისია უზრუნველყოფს მაქსიმალურ საჯაროობას: ვიდეო გადაღებების, მონიტორებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელი იქნება თითოეული ნებართვის მაძიებლის მიერ დაგროვილი ქულების გაანგარიშებაზე თვალყურის დევნება. დოკუმენტაციის შემოწმების, შეფასებისა და ქულათა მინიჭების შემდეგ დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ დამსწრე კომისიის წევრები.

მუხლი 5. კომისია

1. კონკურსის ჩატარებისა და გამარჯვებულის გამოსავლენად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის უფლებამოსილებას განეკუთვნება კონკურსში მონაწილეობაზე ნებართვის მაძიებლის წერილობითი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შემოწმება, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ნებართვის მაძიებლების შეფასება და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერიის თანამდებობის პირები და სხვა თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე მოწვეული სპეციალისტები.

3. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნისა და კომისიის სხვა წევრებისაგან.

4. კომისიის წევრთა მიმართ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 და 92-ე

მუხლების მოთხოვნები.

5. კონკურსის ორგანიზაციულ – ტექნიკურ და სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის აპარატი, რომელიც შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებისაგან. კომისიის აპარატი უშუალოდ ექვემდებარება კომისიის თავმჯდომარეს და ასრულებს მის დავალებებს. კომისიის აპარატის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

6. კომისიის აპარატის უფროსი იმავდროულად არის კომისიის მდივანიც.

7. კომისიის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

8. კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი.

9. კომისია დამოუკიდებელია. არავის აქვს უფლება მოახდინოს რაიმე ზეგავლენა ან/და ჩაერიოს მის საქმიანობაში.

10. კომისიას აქვს ბლანკი სახელწოდების აღნიშვნით.

11. კომისიის წევრები ავსებენ ხელწერილს ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებით.

12. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის მუშაობის ორგანიზებაზე. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია ხელი მოაწეროს კომისიის საქმიანობას მიკუთვნებულ კორესპონდენციას.

13. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს თავად კომისია.

14. თავმჯდომარეს, მისი არყოფნის შემთხვევაში, ცვლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

15. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომა არასაპატიო მიზეზით;

ბ) დაიცვას წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ) დაიცვას კონკურსის მონაწილეთა შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

16. კომისიის სხდომები ტარდება საჯაროდ.

17. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

18. კომისიის სხდომას შეიძლება დაესწრონ სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცალკეული დარგის ექსპერტები/სპეციალისტები ან/და სხვა მოწვეული პირები. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დაინტერესებული პირები.

19. ნებისმიერი დაინტერესებული პირი უფლებამოსილია დაესწროს სხდომებს და კომისიის თანხმობის შემთხვევაში მისცეს ახსნა – განმარტება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

20. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

21. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი სტატუსით, ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველს.

22. კომისია სხდომაზე ოქმს ამტკიცებს ღია კენჭისყრით.

23. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

24. კომისიის სხდომის ოქმები და საქმისწარმოების სხვა მასალები ინახება საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად.

მუხლი 6. საკონკურსო პირობები

1. კონკურსის ყველა მონაწილე სარგებლობს თანაბარი უფლება-მოვალეობებით.
2. კონკურსის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა უფლება, წინასწარ გაეცნოს ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას.

3. კონკურსში მონაწილეობაზე განცხადება მიიღება დადგენილ მისამართზე და ვადაში, რომელიც დგინდება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

4. ნებართვის მაძიებელმა წერილობითი განცხადება უნდა წარადგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, რომელიც დაუყოვნებლივ წარედგინება საკონკურსო კომისიას. განცხადება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლით და ამ მუხლის მე–5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დალუქული კონვერტით წარმოდგენილი შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) იურიდიული პირისათვის – სათანადო წესით გაფორმებული პარტნიორთა თანხმობა კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი და წესდების დამოწმებული ასლი, განცხადების წარმომდგენი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ინდივიდუალური მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი და იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლები;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს იურდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან იმის თაობაზე, რომ ნებართვის მაძიებლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იურდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ ნებართვის მაძიებელს არ აქვს საერთო სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი საგადასახადო დავალიანება;

ვ) დოკუმენტაცია ლოტზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ – საექსპლუატაციო და სხვა მონაცემების შესახებ, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი ფორმით, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსიით და მასში ასახული უნდა იყოს:

ვ.ა) საკონკურსო მარშრუტზე მგზავრთა გადაყვანის განსახორციელებლად წარმოდგენილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, შემდეგი მონაცემების მითითებით: სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარკა, მოდელი, ტრანსპორტის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი, გამოშვების წელი, კატეგორია, ტევადობა, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი, ყოველ წარმოდგენილ სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიმაგრებული მართვის შესაბამისი კატეგორიის მქონე მძღოლის/მძღოლების სახელი და გვარი, ტრანსპორტის მართვის მოწმობის ნომერი, ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, მძღოლის/მძღოლების სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ერთ-ერთი მაინც, კერძოდ: ცნობა საჯარო რეესტრიდან სამეწარმეო საქმიანობის შესახებ; შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გადამზიდველის მიერ გაცემული ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ, შესაბამის სანებართვო მოწმობის ასლთან ერთად:

ვ.ბ) ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობისა და მძღოლების მართვის მოწმობების ქსეროასლები;

ვ.გ) კონკურსზე წარმოდგენილი ყოველი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ.დ) კონკურსზე წარმოდგენილი ყველა სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს იმ კატეგორიისა და იმ ტიპის, რაც გათვალისწინებულია ნებართვის მისაღებად გამოცხადებული ლოტში შემავალი მარშრუტების სქემით;

ვ.ე) კონკურსზე წარმოდგენილ ყველა სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებას გავლილი უნდა ჰქონდეს გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო ტესტირება;

ზ) უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული საქსპერტო დასკვნა კონკურსზე წარმოდგენილი ავტობუსების ტექნიკური მახასიათებლების გამართულობაზე:

ზ.ა) ძარისა და სალონის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;

ზ.ბ) ხორციელდება თუ არა ავტობუსის სალონში ჰაერის ვენტილაცია ან/და კონდიცირება;

ზ.გ) ხორციელდება თუ არა სალონის გათბობა;

ზ.დ) ექვემდებარება თუ არა საქართველოს კანონდებლობით დადგენილ წესს გადაკეთებული ან/და კუსტარულად დამატებული სავარძლები;

ზ.ე) ავტობუსს გააჩნია თუ არა ერთი სამგზავრო და ერთი ავარიული, ან ორივე სამგზავრო კარი, მათი გამოყენების მდგომარეობა;

ზ.ვ) ავტობუსს გააჩნია თუ არა არანაკლებ ერთი ავარიული გამოსასვლელი წინა ან უკანა კედლიდან, ან ავარიული ლუქი სახურავში;

ზ.ზ) უდრის თუ არა 3 (სამს) ავარიული გამოსასვლელების საჭირო მინიმალური რაოდენობა, ავარიული ლუქების ჩაუთვლელად;

ზ.თ) შეესაბამება თუ არა სალონში სავარძლების რაოდენობა და განლაგება დადგენილ ნორმებს;

ზ.ი) შეესაბამება თუ არა სალონში გასასვლელის სიმაღლე დადგენილ ნორმას;

ზ.კ) შეესაბამება თუ არა სალონში გასასვლელის სიგანე დადგენილ ნორმას;

ზ.ლ) შეესაბამება თუ არა სამგზავრო (შესასვლელი) კარის სიმაღლე და შესასვლელი ღიობის სიგანე დადგენილ ნორმებს;

ზ.მ) შეესაბამება თუ არა ავტობუსში შესასვლელი კარის პირველი საფეხურის სიმაღლე გზიდან დადგენილ ნორმას;

ზ.ნ) შეესაბამება თუ არა ავტობუსის სალონის განათების ხარისხი დადგენილ ნორმას;

თ) სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების დაწყების გრაფიკი;

ი) კონკურსზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან;

კ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსში მონაწილე მოქმედებს ნებართვის მაძიებლის სახელით;

ლ) ნებართვის მაძიებლის მიერ გაცემული წერილობითი დასტური მგზავრობის ფასის შენარჩუნების შესახებ (კონკურსამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში დაფიქსირებული მგზავრობის ფასის შენარჩუნების თანხმობა). ასეთი დასტურის არწარმოდგენის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ნებართვის მაძიებელი აპირებს მგზავრობის ფასის გაზრდას, რაც ადეკვატურად აისახება მისი ქულებით შეფასებისას;

მ) ნებართვის მაძიებლის წერილობითი დასტური ნებართვის წარმოდგენილი ფასის შესახებ;

ნ) ნებართვის წარმოდგენილი ფასის სამმაგი ოდენობის თანხის შესაბამისი საბანკო გარანტია. კონკურსში თანაბარი ქულების მიღებისას, ამ წესის მე-8 მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებით გამარჯვებულად გამოვლენილმა ნებართვის მაძიებელმა სანებართვო მოწმობის გაცემამდე უნდა წარმოადგინოს მის მიერ საბოლოოდ დაფიქსირებული ნებართვის გაცემის ფასის სამმაგი ოდენობის შესაბამისი თანხის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა ემთხვეოდეს ნებართვის მოქმედების ვადას. კონკურსში ვერ გამარჯვების შემთხვევაში საბანკო გარანტია უბრუნდება ნებართვის მაძიებელს;

ო) ნებართვის მაძიებლის მიერ შევსებული და დამოწმებული აფიდავიტის ფორმა;

პ) თუ ნებართვის მაძიებელი უცხოელი ან უცხოური კომპანიაა, ამ მუხლის მე–5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი ცნობები გაცემული უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნების უფლებამოსილ ორგანოთა მიერ. ამასთან, ნებართვის გამცემს ცნობები უნდა წარედგინოს აპოსტილით სათანადოდ დამოწმებული ან ლეგალიზებული სახით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;

ჟ) დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოკუმენტების მიწოდება საფოსტო გზავნილის სახით. საფოსტო გზავნილის სახით მიღებული განცხადება და თანდართული დოკუმენტები კომისიის მიერ არ განიხილება და გამომგზავნს უბრუნდება მითითებულ მისამართზე;

რ) ნებართვის მაძიებელი განცხადებას წარადგენს მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე. გამარჯვებული გამოვლინდება თითოეულ ლოტზე ცალ–ცალკე;

ს) ნებართვის მაძიებელმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში ერთზე მეტ ლოტზე, საბანკო გარანტია უნდა წარმოადგინოს თითოეული ლოტისათვის ცალ – ცალკე;

ტ) ამ მუხლის მე–5 პუნქტით დადგენილი ცნობები და შესაბამისი დასკვნები გაცემული უნდა იყოს კონკურსის გამოცხადების თარიღიდან დოკუმენტაციის მიღების დასრულებამდე;

6. ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში მარშრუტზე მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისათვის საჭირო ტექნიკური პროცედურების შესასრულებლად, კერძოდ: სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების წინასარეისო ტექნიკური დათვალიერების, მძღოლების სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად და სათანადო დოკუმენტაციის გასაცემად საკუთრებაში ან/და სარგებლობაში იქონიოს მინიმუმ ერთი პუნქტი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური სერვისის აუცილებელ პირობებს (რამდენიმე ნებართვის ფლობის შემთხვევაში სანებართვო მოწმობებში წარმოდგენილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჯამური ოდენობის გათვალისწინებით), კერძოდ, ტექნიკურ რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესის“ მოთხოვნების შესაბამისად უნდა გააჩნდეს:

ა) წინასარეისო გამშვები პუნქტი;

ბ) მძღოლთა სამედიცინო შემოწმების პუნქტი;

გ) ყოველდღიური და პერიოდული ტექნიკური მომსახურების პოსტები;

7. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების დოკუმენტალური დადასტურება კონკურსში გამარჯვებულმა ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად.

8. მოქმედი მარშრუტების სანებართვო მოწმობის/მოწმობების რეესტრში ან კონკურსში სხვადასხვა ლოტზე გამარჯვებულად გამოვლენილი ნებართვის მაძიებლების ტრანსპორტის რეესტრში ერთიდაიგივე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების დაფიქსირებისას, თვეში მისი სამუშაო დღეების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 24 დღეს. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებული ნებართვის მაძიებელი ვალდებულია სანებართვო მოწმობის გაცემამდე მოახდინოს მისი შეცვლა არანაკლები შეფასების მქონე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

მუხლი 7. საკონკურსო განცხადების შეფასებაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ნებართვის მაძიებლის მიერ ლოტზე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რაოდენობაზე ნაკლები რაოდენობის წარმოდგენა.

2. დოკუმენტების მონაცემების საკონკურსო პირობებისადმი შეუსაბამობა.

3. ნებართვის მაძიებლის მიერ დოკუმენტების არასრულად წარმოდგენა.

4. განცხადება შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

5. თუ მე–6 მუხლის მე–5 პუნქტით დადგენილი ცნობები და შესაბამისი საექსპერტო დასკვნები გაცემული არ არის კონკურსის გამოცხადების თარიღიდან განცხადებების რეგისტრაციის დასრულებამდე ვადაში.

მუხლი 8. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

1. გამარჯვებულის გამოვლენა ხდება ნებართვის მაძიებლების მიერ კონკურსში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქულობრივი შეფასებით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემებით და მძღოლთა სამუშაო გამოცდილებით;

ბ) შემოთავაზებული მგზავრობის ფასით (კონკურსამდე 6 თვის განმავლობაში არსებული მგზავრობის ფასის შენარჩუნების შესახებ თანხმობა);

გ) ნებართვის წარმოდგენილი ფასით.

2. საერთო შეფასებაში თითოეულ კრიტერიუმს აქვს თავისი ქულა და ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტი.

3. გამარჯვებულად ითვლება ის ნებართვის მაძიებელი, რომელიც შეფასების შედეგად მიიღებს ყველაზე მაღალ საბოლოო ქულათა ჯამს.

4. საბოლოო ქულათა ჯამი იანგარიშება ფორმულით: **S = 0.60C + 0,25T+0.15F,** სადაც: **C** – არის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემებისა და მძღოლთა სამუშაო გამოცდილების შეფასების ქულა, ხოლო 0.60 – ამ ქულის პრიორიტეტულობის კოეფიციენტი; **T** – არის ნებართვის მაძიებლის მიერ შემოთავაზებული მგზავრობის ფასის შეფასების ქულა, ხოლო 0,25 ამ ქულის პრიორიტეტულობის მაჩვენებელი; **F** – არის ნებართვის მაძიებლის მიერ ნებართვის გაცემის საწყისი ფასის ტოლი ან მეტი შემოთავაზებული ფასის შედეგად მიღებული შეფასების ქულა, ხოლო 0,15 არის ამ ქულის პრიორიტეტულობის მაჩვენებელი.

5. სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემებისა და მძღოლის/მძღოლთა სამუშაო გამოცდილების შეფასების ქულა იანგარიშება შემდეგნაირად: $Y_1 + Y_2 + Y_3 + \ldots + Yi$

$$C = \frac{\qquad}{n}, \quad i=1,2,3\ldots n,$$

სადაც: n – არის ლოტზე თითოეული ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა; Y_i – იანგარიშება ნებართვის მაძიებლის წარმოდგენილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების წლოვანების, ევროსტანდარტის კატეგორიისა და მასზე მიმაგრებული მძღოლის/მძღოლების სამუშაო გამოცდილების შეფასების ქულების საშუალო მნიშვნელობით. Y_i - იანგარიშება ფორმულით: $Y_i = (A_{წელი} + A_{ევრო} + A_{მძღოლი})/3$, სადაც: $A_{წელი}$ – არის თითოეული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების წლოვანების ქულა; $A_{ევრო}$ – თითოეული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების ევროსტანდარტთან შესაბამისობის ქულა; $A_{მძღოლი}$ - თითოეულ სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიმაგრებული მძღოლების სამუშაო გამოცდილების შესაბამისი ქულათა საშუალო მნიშვნელობა.

6. თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ქულის მინიჭება წლოვანების მიხედვით ხდება შემდეგი წესით:

ა) 2 წელზე ნაკლები	– 50 ქულა;	ბ) 2 - დან 4 წლამდე	– 45 ქულა;
გ) 4 - დან 6 წლამდე	– 40 ქულა;	დ) 6 - დან 10 წლამდე	– 35 ქულა;
ე) 10 - დან 15 წლამდე	– 30 ქულა;	ვ) 15 წელი და მეტი	– 10 ქულა.

შენიშვნა: სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების წლოვანების გამოთვლა ხდება ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობაში დაფიქსირებული გამოშვების წლისა და კონკურსის ჩატარების წლის მეშვეობით.

7. თითოეული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების ევროსტანდარტთან შესაბამისობის ქულის

მინიჭება ხდება შემდეგი წესით:

EURO – 6	სტანდარტს	50 ქულა
EURO – 5	სტანდარტს	45 ქულა
EURO –4	სტანდარტს	40 ქულა
EURO – 3	სტანდარტს	25 ქულა
EURO – 2	სტანდარტს	20 ქულა
EURO – 1	სტანდარტს	10 ქულა

8. თითოეულ სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიმაგრებული მძღოლის სამუშაო გამოცდილების ქულის მინიჭება ხდება შემდეგი წესით:

სამუშაო გამოცდილება	ქულა
10 წელზე მეტი	50
5-10 წელი	45
1-4 წელი	40

9. ნებართვის მაძიებლის მიერ ლოტზე შემოთავაზებული მგზავრობის ფასის კრიტერიუმი „T“ ქულობრივად ფასდება მგზავრობის ღირებულების საბაზრო პირობებით განსაზღვრული, კონკურსამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში არსებული მგზავრთა გადაყვანის ფასის შენარჩუნების მიხედვით.

10. მგზავრობის ფასის შეფასების ქულა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი თანხმობა ლოტზე კონკურსამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში არსებული მგზავრთა გადაყვანის ფასის შენარჩუნების შესახებ – T= 50 ქულა;

ბ) ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია მგზავრობის ფასის გაზრდის მოთხოვნა – T= 0 ქულა.

შენიშვნა: შემოთავაზებული მგზავრობის ფასი შეიცვლება მხოლოდ ფასზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ნებართვის გამცემთან შეთანხმებით, შესაბამისად ნებართვის გაცემის ფასის კორექტირებით.

11. „F“ არის ნებართვის მაძიებლის მიერ ნებართვის გაცემის საწყისი ფასის ტოლი ან მეტი შემოთავაზებული ფასის შედეგად მიღებული შეფასების ქულა, რომელიც იანგარიშება ნებართვის გაცემის საწყის ფასზე მისი ოდენობის 1 (ერთი) პროცენტის დამატებით და ყოველ (ერთ) პროცენტზე შეადგენს – 0,5 ქულას.

12. თუ ორი ან მეტი ნებართვის მაძიებელი შეფასების შედეგად მიიღებს ერთნაირ ქულათა ჯამს, უპირატესობა მიენიჭება და გამარჯვებულად გამოვლინდება ის ნებართვის მაძიებელი, რომელსაც:

ა) ექნება ყველაზე მაღალი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების შეფასების ქულა;

ბ) ექნება ყველაზე მაღალი ნებართვის მაძიებლის მიერ ნებართვის წარმოდგენილი ფასის შემოთავაზებით მიღებული ქულა;

გ) ამავე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით ლოტზე გამარჯვებულის ვერგამოვლენის შემთხვევაში ნებართვის მაძიებლებს კონკურსის მსვლელობის პერიოდში ეძლევათ უფლება დახურულ კონვერტში დააფიქსირონ ნებართვის გაცემის ფასის ახალი გაზრდილი ოდენობა. გამარჯვებული გამოვლინდება ნებართვის გაცემის ფასის უფრო მაღალი ოდენობის დაფიქსირების შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში პროცედურა გრძელდება გამარჯვებულის გამოვლენამდე.

მუხლი 9. კონკურსის შედეგების შეჯამება

1. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

2. კომისიის გადაწყვეტილება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ აისახება ოქმში, რომელსაც თან ერთვის კომისიის წევრთა წერილობითი შეფასებები.

3. ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) კომისიის დასახელება;

ბ) სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) სხდომაში მონაწილე სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ცალკეული დარგის ექსპერტების/სპეციალისტების ან/და სხვა მოწვეული, აგრეთვე დაინტერესებული პირების ვინაობა (მათი არსებობის შემთხვევაში);

ე) განხილვის საგანი;

ვ) სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ცალკეული დარგის ექსპერტების/სპეციალისტების ან/და სხვა მოწვეული, აგრეთვე დაინტერესებული პირების ახსნა–განმარტებების აღწერა;

ზ) შეფასების შედეგები;

თ) მიღებული გადაწყვეტილება.

4. კომისიის ოქმი კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ცხადდება საჯაროდ.

5. კონკურსში გამარჯვებულს, სანებართვო მოწმობის მიღებამდე უფლება არა აქვს განახორციელოს სანებართვო საქმიანობა.

6. კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი რეგულირდება საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად.

7. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. არშემდგარი კონკურსი
კონკურსი ითვლება არშემდგარად და კომისიის მიერ ფორმდება სათანადო ოქმი:
ა) თუ კონკურსის მოწყობის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი არცერთი განცხადება;

ბ) ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად ვერ გამოვლინდა გამარჯვებული;

გ) კონკურსზე წარმოდგენილი ყველა განცხადება არ დაიშვა შეფასებაზე;

დ) საქართველოს ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას.

მუხლი 11. ნებართვის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის წესი
ნებართვის მაძიებელს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს კონკურსში მონაწილეობაზე კომისიის მიერ კონვერტების გახსნის პროცესის დაწყების შემდეგ. განცხადების მიღების შემდეგ ნებართვის მაძიებელს, კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში არ დაუბრუნდება წარმოდგენილი საბანკო გარანტია.

მუხლი 12. ნებართვის გაცემის წესი და პირობები

1. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული გადაყვანა ხორციელდება მხოლოდ ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირთა ან/და ინდივიდუალური მეწარმეების მიერ. ნებართვა გაიცემა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მიერ, კონკურსის შედეგების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ლოტებზე ცალ-ცალკე.

2. ნებართვის გარეშე სამგზავრო გადაყვანის განხორციელება გამოიწვევს პირის პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ერთ ლოტზე გაიცემა ერთი ნებართვა.

4. ნებართვა გაიცემა კონკურსში გამარჯვებული ნებართვის მაძიებელის გამარჯვებულად გამოცხადების თაობაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების, ასევე ნებართვის გამცემსა და გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

5. თუ გამარჯვებული უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოელია, მაშინ მან ხელშეკრულების გაფორმებამდე თავისი 100%–იანი წილით საქართველოში უნდა დააფუძნოს საწარმო, რომელზეც გაიცემა ნებართვა.

6. კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში გამარჯვებულსა და ნებართვის გამცემს შორის ფორმდება ხელშეკრულება და გაიცემა სანებართვო მოწმობა.

7. კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილ ნებართვის მაძიებელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებს ადგენს ნებართვის გამცემი.

8. სანებართვო მოწმობის გაცემის შემდეგ კონკურსში გამარჯვებული უფლებამოსილი ხდება განახორციელოს სატრანსპორტო მომსახურება.

9. უცხოელის ან უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ დადგენილ ვადაში საქართველოში საწარმოს არდაფუძნების, ხელშეკრულების გაუფორმებლობის ან ნებართვის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კონკურსის გამარჯვებულზე სანებართვო მოწმობა არ გაიცემა.

10. ამ მუხლის მე–10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების თაობაზე, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ინტერნეტით.

მუხლი 13. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეუძლია ნებართვის გამცემს.

2. ნებართვის გამცემი არ გასცემს ნებართვას, თუ:

ა) ნებართვის მაძიებელი არ არის კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადებული;

ბ) ნებართვის მაძიებლის განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული;

გ) წინამდებარე წესის მე-12 მუხლის მე–10 პუნქტით დადგენილ შემთხვევაში.

3. ნებართვის გაცემაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და ეცნობოს ნებართვის მაძიებელს.

4. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში, დადგენილი წესით.

მუხლი 14. განმეორებითი კონკურსი

1. განმეორებითი კონკურსი ჩატარდება ამ წესის მე-10 მუხლში წარმოდგენილი გარემოებების დადგომისას.
2. განმეორებითი კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.

3. განმეორებითი კონკურსი ტარდება ამ წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ამასთან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია დაადგინოს საბანკო გარანტიის ახალი გაზრდილი ოდენობა.

მუხლი 15. სანებართვო პირობები, მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები:

ა) ნებართვის მოქმედების მთელ ვადაში უზრუნველყოს სატრანსპორტო მომსახურების გაწევა მხოლოდ სანებართვო მოწმობით დადგენილი მარშრუტებით;

ბ) ნებართვის მოქმედების მთელ ვადაში უზრუნველყოს სატრანსპორტო მომსახურების გაწევა მხოლოდ სანებართვო მოწმობაში რეგისტრირებული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობით;

გ) ლოტზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რაოდენობა დააკომპლექტოს კონკურსის შედეგებით გამოვლენილი საუკეთესო ტექნიკური მონაცემების მქონე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;

დ) მარშრუტის სქემის შეცვლის შემთხვევაში, თუ ეს არ იწვევს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული ყოველდღიური რაოდენობის გაზრდას, ცვლილების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება შეცვლილი მარშრუტების შესაბამისად;

ე) მარშრუტებისთვის დადგენილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ყოვედღიური რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში მომსახურების განხორციელება უზრუნველყოს ცვლილების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ხოლო მარშრუტების სქემის შეცვლის გარეშე მარშრუტებისთვის დადგენილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ყოველდღიური რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, მომსახურების განხორციელება უზრუნველყოს ცვლილების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან;

ვ) ნებართვის მფლობელმა, მარშრუტებისთვის დადგენილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ყოვედღიური რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში უნდა გადაიხადოს გაზრდილი რაოდენობისათვის განსაზღვრული ნებართვის გაცემის ფასი;

ზ) ნებართვის მფლობელმა საკონკურსო განაცხადით წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად სატრანსპორტო მომსახურების განხორციელება დაიწყოს და ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში განაგრძოს საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებითა და აუცილებლობის შემთხვევაში, ნებართვის გამცემის თანხმობით, ჩანაცვლება მოახდინოს იმდაგვარად, რომ არ მოხდეს საკონკურსო შეფასებით მიღებული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ($A_{\text{წლოვანება}} + A_{\text{ევრო}}$) ქულის გაუარესება, ხოლო დამატების შემთხვევაში სავალდებულო რაოდენობის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეფასების ქულათა საშუალო მნიშვნელობის გაუარესება;

თ) ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში საკუთრებაში ან იჯარით/ლიზინგით ან სარგებლობის სხვა ფორმის ხელშეკრულების საფუძველზე იყოლიოს ლოტისთვის განსაზღვრული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რაოდენობა;

ი) ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში დაიცვას სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების შენახვა–ექსპლუატაციის წესები, ასევე უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოს დაცვითი ღონისძიებების შესრულებისას უზრუნველყოს მოქმედი, სპეციალური საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების დაცვა;

კ) უზრუნველყოს მარშრუტზე გაშვებული თითოეული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობა და ნორმალური სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა;

ლ) ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში მარშრუტზე მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისათვის საჭირო ტექნიკური პროცედურების შესასრულებლად, კერძოდ: სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების წინასარეისო ტექნიკური დათვალიერების, მძღოლების სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად და სათანადო დოკუმენტაციის გასაცემად საკუთრებაში ან/და სარგებლობაში იქონიოს მინიმუმ ერთი პუნქტი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური სერვისის აუცილებელ პირობებს (რამდენიმე ნებართვის ფლობის შემთხვევაში სანებართვო მოწმობებში წარმოდგენილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჯამური ოდენობის გათვალისწინებით), კერძოდ, ტექნიკური რეგლამენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესის მოთხოვნების შესაბამისად უნდა გააჩნდეს:

ლ.ა) წინასარეისო გამშვები პუნქტი;

ლ.ბ) მძღოლთა სამედიცინო შემოწმების პუნქტი;

ლ.გ) ყოველდღიური და პერიოდული ტექნიკური მომსახურების პოსტები;

მ) „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება კონკურსში გამარჯვებულმა ნებართვის მაძიებელმა უზრუნველყოს სანებართვო მოწმობის გაცემამდე;

ნ) დაიცვას მგზავრთა გადაყვანის საქართველოს საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები;

ო) ნებართვის გამცემის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს მომსახურების განმახორციელებელი ყველა მძღოლის პირადი ჰიგიენის და ჩაცმულობის შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან;

პ) არ დაუშვას უშუალოდ მარშრუტზე მოძრაობისას მძღოლის მიერ თამბაქოს მოხმარება;

ჟ) ნებართვის გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს მარშრუტზე მომუშავე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა სვლაგეზის მაჩვენებელი დადგენილი ნიმუშის ფირნიშებით (ელექტრო–ტაბლოებით), მგზავრობის ფასის გადახდის ელექტრონული/ან სხვა სისტემებით. სალონში მგზავრისთვის თვალსაჩინო ადგილას განათავსოს ტაბლო, სადაც აღნიშნული იქნება მძღოლის სახელი, გვარი, ფოტო–სურათი, ნებართვის მფლობელის დასახელება, ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრები და მგზავრობის ფასი;

რ) ნებართვის გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებული, ლოტისთვის განსაზღვრულ სავალდებულო რაოდენობაზე მეტი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა „GPS“ ტრეკერით. ასევე გასწიოს, ჩანაცვლებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტრეკერის მონტაჟის ხარჯი;

ს) აწარმოოს სამგზავრო მარშრუტზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუშაობის მაჩვენებლების ყოველდღიური აღრიცხვა–ანალიზი და რეგულირება;

ტ) უზრუნველყოს მარშრუტის მუშაობის დაწყება–დამთავრების დროისა და ინტერვალის დაცვა;

უ) დაიცვას საწყის და ბოლო გაჩერებებზე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის წესები და სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები;

ფ) ნებართვის გამცემის თანხმობის გარეშე მარშრუტზე სანებართვო მოწმობის დანართში რეგისტრირებული მძღოლების გარდა სამუშაოდ არ დაუშვას სხვა მძღოლები. დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მძღოლის სამუშაო დროის ნორმატივები. მძღოლების ჩანაცვლების შემთხვევაში წარმოადგინოს ამ წესის მე-6 მუხლის მე-5 პუქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. მძღოლების ჩანაცვლებისას არ უნდა გაუარესდეს კონკურსზე დაფიქსირებული მძღოლთა სამუშაო გამოცდილების შეფასებით მიღებული ქულათა საშუალო მნიშვნელობა;

ქ) სანებართვო მოწმობის დანართში რეგისტრირებული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშულებებისა და მძღოლების ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში ხელი შეუწყოს ნებართვის გამცემს წინამდებარე წესის საკონკურსო პირობებით დადგენილი მოთხოვნების განხორციელებაში;

ღ) სატრანსპორტო მომსახურება გასწიოს მის მიერ, ნებართვის გამცემზე შეთავაზებული მგზავრობის ფასის შესაბამისად. შემდგომში ფასის შეცვლის უფლება ნებართვის მფლობელს ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირდება ორივე მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით (ფორსმაჟორი, ინფლაციის ინდექსის მკვეთრი ზრდა და ა.შ.) გამოწვეული ტარიფების გაზრდის/გადახედვის აუცილებლობა, რომელზედაც მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ წინასწარ, კანონით დადგენილი წესით;

ყ) აწარმოოს მგზავრთა საჩივრების აღრიცხვა, მოაწყოს ცხელი ხაზი;

შ) სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე რეკლამა განათავსოს კანონით დადგენილი წესით. ნებართვის გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე უზრუნველყოს ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრული სარეკლამო ან/და სოციალური რეკლამის (ლოგო და ა.შ.) განთავსება;

ჩ) დადგენილ ვადაში გადაიხადოს კონკურსის შედეგებით განსაზღვრული ნებართვის გაცემის ფასი;

ც) მძღოლების ან სხვა ტექნიკური პერსონალის გაფიცვის, ადმინისტრაციის ლოკაუტის შემთხვევაში არ დაუშვას მომსახურების სრული შეწყვეტა რომელიმე მარშრუტზე 3 (სამი) კალენდარულ დღეზე მეტი ხნით. ამასთან, ნებართვის გამცემს გონივრულ ვადაში, წინასწარ წერილობით შეატყობინოს მოსალოდნელი გაფიცვის ან ლოკაუტის თაობაზე;

ძ) მოთხოვნა ნებართვის გაუქმების შესახებ ნებართვის გამცემს წარუდგინოს მინიმუმ სამი თვით ადრე;

წ) არ დაუშვას ნებართვის რაიმე ფორმით სხვა პირზე გადაცემა, თუკი არ არსებობს ნებართვის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობა და მის მიერვე დადგენილი პირობები;

ჭ) ყოველნაირად შეუწყოს ხელი მუშაობაში უფლებამოსილ შემმოწმებელს, წარუდგინოს მას საჭირო ინფორმაცია. დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გამცემს მის ქონებაზე ან ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის წილზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) წარმოშობის შესახებ, აგრეთვე ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შესახებ;

ხ) ნებართვის ვადის მოქმედების პერიოდში მკაცრად დაიცვას ამ წესის მე–6 მუხლის მე–6 პუნქტით განსაზღვრული პირობები, რომელიც ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობასა და ვიზუალურ იერსახეს;

ჯ) სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2. ნებართვის მფლობელს უფლება აქვს:

ა) ფორსმაჟორის ან სხვა შემთხვევაში, როცა შეუძლებელია მარშრუტის დაცვა, ნებართვის გამცემის თანხმობით და მის მიერ დადგენილი სატრანსპორტო სქემით, დროებით შეცვალოს მუშაობის რეჟიმი, მოძრაობის განრიგი ან გზის გარკვეულ მონაკვეთზე შეცვალოს დადგენილი მარშრუტი;

ბ) ნებართვის გამცემს წარუდგინოს წინადადებები ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის უკეთ ორგანიზების საკითხებზე;

გ) ისარგებლოს საქართველოს ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებით.

3. ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობები:

ა) დადგენილი წესით გასცეს ნებართვა, შეიტანოს მასში ცვლილება ან გააუქმოს ის;

ბ) აწარმოოს უწყებრივი და ტექნიკური რეესტრი;

გ) გადაწყვეტილების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია ნებართვის გაცემის, ან მისი გაუქმების შესახებ;

დ) დადგენილი წესის მიხედვით შეინახოს ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია;

ე) კანონით და ამ წესის შესაბამისად გააკონტროლოს ნებართვის მფლობელის მიერ სახელშეკრულებო და სანებართვო პირობების შესრულება და მიიღოს საჭირო ადმინისტრაციული ზომები;

ვ) ლოტზე სავალდებულო რაოდენობის სამგზავრო ავტოსატრასპორტო საშუალებები აღჭურვოს GPS ტრეკერით და უზრუნველყოს მისი მომსახურება;

ზ) ფორსმაჟორულ სიტუაციებში (მარშრუტზე საგზაო მოძრაობის პირობების გაუარესება, მგზავრთა ნაკადის მნიშვნელოვანი შემცირება ან გაზრდა და ა.შ.) ნებართვის მფლობელის შეტყობინების საფუძველზე განიხილოს საკითხი, მიიღოს საჭირო გადაწყვეტილება (თანხმობა მარშრუტის დროებით შეცვლაზე, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ყოველდღიური რაოდენობის დროებით შეცვლაზე) და გასცეს თანხმობა კონკრეტულ საჭიროებაზე;

თ) განსაზღვროს ლოტზე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რაოდენობა, რომლითაც ნებართვის მფლობელს, ნებართვის მოქმედების მთელ ვადაში საშუალება ექნება შეუფერხებლად განახორციელოს სატრანსპორტო მომსახურება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გასცეს ნებართვის მფლობელზე სანებართვო მოწმობა და მარშრუტის სატრანსპორტო სქემა (ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემცირებული მასშტაბის რუკაზე დატანილი მარშრუტის სქემა, ქუჩების მითითებით);

კ) წინამდებარე წესის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით სანებართვო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ნებართვის მფლობელის მიმართ გამოიყენოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

მუხლი 16. ნებართვა და სანებართვო მოწმობა

1. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის ვადით და ძალაშია ნებართვის ვადის გასვლამდე ან მის გაუქმებამდე.

2. ნებართვა გაიცემა კონკურსში გამარჯვებულზე, საკონკურსო პირობების შესრულების თაობაზე ნებართვის გამცემის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებლივი აქტის საფუძველზე.

3. ნებართვის მფლობელსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ფორმდება ხელშეკრულება სანებართვო პირობების შესრულებაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ნებართვის მფლობელს გადაეცემა სანებართვო მოწმობა და იგი უფლებამოსილია განახორციელოს მომსახურება.

4. ნებართვის მფლობელის ლიკვიდაციის, სანებართვო და სახელშეკრულებო მოთხოვნებით დადგენილი საქმიანობის შეწყვეტის ან/და ნებართვის გაუქმებისას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია ლოტზე ახალი კონკურსით გამოვლენილი გამარჯვებულისთვის სანებართვო საქმიანობის მინიჭებამდე ვადაში, სანებართვო საქმიანობის უფლება მიანიჭოს მის მიერ შერჩეულ გადამზიდველს ხელშეკრულების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შერჩეულმა გადამზიდველმა სანებართვო საქმიანობა უნდა განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ახალი ნებართვის გაცემის საწყისი ფასის გადახდის პირობით.

5. სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანებისას ნებართვის მფლობელმა წერილობით უნდა მიმართოს ნებართვის გამცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე. მანამდე იგი უფლებამოსილია განახორციელოს სანებართვო საქმიანობა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

6. სანებართვო მოწმობის დუბლიკატი უნდა გაიცეს განცხადების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო უწყებრივ სანებართვო რეესტრში გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი ამის თაობაზე. დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მის დედანს.

7. დუბლიკატის მიმღები პირი ვალდებულია წერილობით განცხადებასთან ერთად ნებართვის გამცემს წარუდგინოს სანებართვო მოწმობის დუბლიკატის ფასის გადახდის ქვითარი.

8. სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის ფასი შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

მუხლი 17. ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესი და ვადები

1. ნებართვის გაცემის ფასის გადამხდელია ნებართვის მფლობელი.

2. ლოტზე ნებართვის გაცემის ფასის საბოლო ოდენობის დადგენა და მისი კონკურსში გამარჯვებულ ნებართვის მაძიებელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ასახვა ხდება კონკურსის შედეგების მიხედვით.

3. ნებართვის გაცემის ფასი გადაიხდევინება საანგარიშო წლის ყოველი თვის 28 რიცხვის ჩათვლით.

4. ნებართვის გაცემის ფასის, ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვის ჩათვლით, გადაუხდელობის შემთხვევაში ნებართვის მფლობელს დაეკისრება ადმინისტრაციული ჯარიმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. ნებართვის გაცემის ფასის დავალიანების 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის თანხა მთლიანად ჩაირიცხება ნებართვის გამცემის მიერ მითითებულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე და დაიწყება ნებარათვის გაუქმების პროცედურა.

6. ნებართვის გაცემის ფასისა და ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა ნებართვის მფლობელის მიერ წარმოებს საბანკო დაწესებულებაში და მთლიანად ჩაირიცხება ნებართვის გამცემის მიერ მითითებულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

7. საბანკო მომსახურების ხარჯებს გადაიხდის ნებართვის მფლობელი.

8. ნებართვის გაცემის ფასი სრულად გადაიხდევინება, მიუხედავად იმისა, საანგარიშო თვის განმავლობაში ნებართვის მფლობელმა განახორციელა თუ არა სატრანსპორტო მომსახურება.

მუხლი 18. პასუხისმგებლობა სანებართვო და სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის ნებართვის გაუქმება

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით და ნებართვის მფლობელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
2. ნებართვა ვადის გასვლამდე შეიძლება გაუქმებულ იქნეს:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) ნებართვის მფლობელის გარდაცვალების (ლიკვიდაციის), დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში (იურდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში), გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისისა;

გ) სანებართვო და სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის:

გ.ა) ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში;

გ.ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – „მარშრუტის სატრანსპორტო სქემის“ თვითნებურად დარღვევის სამი თვის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ გამოვლენის შემთხვევაში;

გ.გ) მარშრუტზე საკონკურსო პირობებით განსაზღვრული სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ყოველდღიური რაოდენობის თვითნებურად გაზრდის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ექვსი თვის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ გამოვლენის შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

3. ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ნებართვის გამცემი ნებართვის გაუქმების შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რის შესახებ ნებართვის მფლობელს ეცნობება დაუყოვნებლივ.

5. ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სანებართვო მოწმობა უბრუნდება ნებართვის გამცემს.

6. ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ ვადაში სანებართვო მოწმობის ჩაუბარებლობისას, მომსახურების განხორციელების შემთხვევაში მისი ყოფილი მფლობელი პასუხს აგებს უნებართვო საქმიანობისთვის.

მუხლი 19. უწყებრივი და ტექნიკური სანებართვო რეესტრი

1. უწყებრივ და ტექნიკურ სანებართვო რეესტრს აწარმოებს ნებართვის გამცემი.

2. მონაცემები ნებართვის გაცემის, ნებართვაში ცვლილების შეტანის, მისი გაუქმების ან/და დუბლიკატის გაცემის შესახებ ნებართვის გამცემს რეესტრში შეაქვს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3. უწყებრივ რეესტრში შეიტანება:

ა) მონაცემები ნებართვის მფლობელის შესახებ, ფიზიკური პირისთვის: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მონაცემები; ინდივიდუალური მეწარმისთვის, იურიდიული პირისთვის მონაცემები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში

რეგისტრაციის თაობაზე;

ბ) მონაცემები ნებართვის მფლობელის საფირმო სახელწოდების, ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის (შეცვლის, რეორგანიზაციის), ადგილსამყოფელის შესახებ;

გ) სანებართვო მოწმობის ნომერი, გაცემის თარიღი, ნებართვის სახეობა, ლიცენზიის ან საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით გაცემული ნებართვის გამცემის იურიდიული მისამართი და გადაწყვეტილებაზე ხელმომწერი თანამდებობის პირის ვინაობა.

4. ტექნიკურ სანებართვო რეესტრში შეიტანება:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მონაცემები;

ბ) მძღოლთა პერსონალური მონაცემები.

5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად, ყველას აქვს უფლება გაეცნოს სანებართვო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

მუხლი 20. რეგულირების წესის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტაცია
რეგულირების წესით განსაზღვრული კონკურსის ჩასატარებლად, გამარჯვებულის გამოსავლენად, სახელშეკრულებო ურთიერთობების დასარეგულირებლად საჭირო ფორმებს და დოკუმენტების ნიმუშებს ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა უნებართვო საქმიანობისთვის
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანების (M_1, M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) მომსახურების განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 22. დასკვნითი დებულება
წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №2

ქალაქ ქუთაისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე ნებართვის გაცემის

საწყისი ფასები

სატრანსპორტო საშუალების კატეგორია	მარშრუტის ნომერი	ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ მარშრუტზე თვეზე გაანგარიშებით
მსუბუქი ავტომობილები (M_1 კატეგორია)	101	20
	102	20
	103	20
	104	20
	105	20
	1 წრიული მარცხენა	2550
	1 წრიული მარჯვენა	2550

ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით (M_2 კატეგორია)	3	320
	4	1080
	5	1530
	6	1560
	6ᵃ	270
	7	270
	9	360
	10	300
	11	2850
	15	720
	16	480
	17	150
	18	450
	19	900
	20	1920
	21	2250
	23	1350
	23ᵃ	960
	25	6300
	26	360
	28	900
	30	180
	31	720
	33	360
	34	1200
	34ᵃ	1080
	35	720
	36	720
	37	300
	38	1200
	38ᵃ	210
	39	180
	44	1320

	48	2100
	50	2880
	52	630
	55	1080
	100	7680
	200 მარცხენა	2040
	200 მარჯვენა	2040
ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით (M_3 კატეგორია)	1 წრიული (მარცხენა)	480
	1 წრიული (მარჯვენა)	600
	2	180
	4	240
	5	225
	10	120
	19	240
	20	225
	22	180
	25	260
	31	360

დანართი №3

ქალაქ ქუთაისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე ნებართვის გაცემის ფასები (მარშრუტებისათვის, რომელთა ნებართვებს მოქმედების ვადა აქვთ)

	მარშრუტების ნომერი	ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ მარშრუტზე თვეზე გაანგარიშებით
	1 წრიული მარცხენა	1440
	1 წრიული მარჯვენა	1440
	4	520
	6ᵃ	220
	7	180
	10	180
	15	330
	16	330

ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით (M_2 კატეგორია)	17	585
	19	525
	21	520
	23	600
	23ᵃ	455
	25	2430
	28	600
	31	260
	33	260
	34	520
	34ᵃ	520
	35	520
	36	390
	38ᵃ	195
	52	325
ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით (M_3 კატეგორია)	1 წრიული (მარცხენა)	600
	1 წრიული (მარჯვენა)	440
	2	260
	4	240
	5	160
	10	120
	19	240
	20	160
	22	180
	25	260
	31	160

შენიშვნა: N2 დანართით დადგენილი ნებართვის გაცემის საწყისი ფასები, N3 დანართით განსაზღვრული მარშრუტებისათვის ამოქმედდეს ამ მარშრუტების ნებართვის ვადის ამოწურვის ან ნებართვის გაუქმების შემთხვევაში.